შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„L ოილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.თბილისი

2019

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „L ოილი“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე..... 3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 8

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 9

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 11-22

Contents

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია 12

შენიშვნა 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი 12

შენიშვნა 2.1. კონსოლიდაციის საფუძველი 12

შენიშვნა 2.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები 12

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა 13

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები 17

შენიშვნა 5. ამონაგები 17

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები 17

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები 18

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები 18

შენიშვნა 9. წინა პერიოდის შეცდომები 18

შენიშვნა 10. ძირითადი საშუალებები 19

შენიშვნა 11. არამატერიალური აქტივები 20

შენიშვნა 12. მარაგი 20

შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 21

შენიშვნა 14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები 21

შენიშვნა 15. საწესდებო კაპიტალი 21

შენიშვნა 16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 22

შენიშვნა 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები 22

შენიშვნა 18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები 23

შენიშვნა 19. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....23

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „L ოილი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „L ოილი“ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 5 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

გოჩა წერეთელი

დირექტორი

2019 წლის 5 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ,,L ოილი“ის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „L ოილი“ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „L ოილი“ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „L ოილი“ისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელსაც მივიღებთ აუდიტის დასკვნის შემდგომ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „L ოილი“ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს ,,L ოილი“ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასსების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებას. ასსების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ,,L ოილი“ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ,,L ოილი“ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ,,L ოილი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს შპს ,,L ოილი“ის ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ. № SARAS-A-730184)

5 სექტემბერი 2019 წელი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	3,874,135	4,039,091
არამატერიალური აქტივები	11	2,031	2,390
სულ გრძელვადიანი აქტივები		**3,876,167**	**4,041,480**
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	12	1,491,917	1,298,253
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	5,244,071	6,527,074
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	14	815,475	518,861
სხვა მიმდინარე აქტივები		724,692	746,268
სულ მიმდინარე აქტივები		**8,276,154**	**9,090,454**
სულ აქტივები:		**12,152,321**	**13,131,935**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		10,378,345	11,156,629
სულ საკუთარი კაპიტალი		**10,380,345**	**11,158,629**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	1,771,976	1,919,013
საგადასახადო ვალდებულებები		-	54,293
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**1,771,976**	**1,973,306**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**12,152,321**	**13,131,935**

ხელმძღვანელობის სახელით:

გოჩა წერეთელი
დირექტორი

კახაბერ ლორია
ბუღალტერი

2019 წლის 5 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

11-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	5	45,390,902	53,007,082
გაყიდულლი საქონლის თვითღირებულება		(43,714,559)	(48,699,572)
საერთო მოგება		**1,646,838**	**4,307,510**
სხვა შემოსავალი	6	43,152	287,035
კომერციული ხარჯები		(318,939)	(427,857)
ადმინისტრაციული ხარჯები		(705,372)	(969,302)
სხვა ხარჯები	7	(527,402)	(931,261)
ფინანსური ხარჯები	8	-	(58,893)
მოგება დაბეგვრამდე		**167,782**	**2,207,232**
საგადასახადო ხარჯი			
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა		**167,782**	**2,207,232**
შეცდომების გასწორება	9	(10,276)	
პერიოდის წმინდა მოგება		**157,506**	**2,207,232**
სათავო საწარმოს წილი		**60,314**	**2,061,712**
შვილობილი საწარმოს წილი		**97,192**	**145,520**

ხელმძღვანელობის სახელით:

გოჩა წერეთელი
დირექტორი

კახაბერ ლორია
ბუღალტერი

2019 წლის 5 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

11-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” L ოილი”

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

		საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
01.01.2017 ნაშთი	15	***2,000***	***-***	***10,495,956***	***10,497,956***
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-	-	**-**
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება		-	-	*(1,546,559)*	**(1,546,559)**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		-		*2,207,232*	**2,207,232**
31.12.2017 ნაშთი	15	***2,000***	***-***	***11,156,629***	***11,158,629***
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-	-	**-**
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება		-	-	*(935,789)*	**(935,789)**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		-		*157,506*	**157,506**
31.12.2018 ნაშთი	**15**	***2,000***	***-***	***10,378,345***	***10,380,345***

ხელმძღვანელობის სახელით:

გოჩა წერეთელი
დირექტორი

კახაბერ ლორია
ბუღალტერი

2019 წლის 5 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

11-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	53,264,557	78,215,794
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(51,089,979)	(73,753,419)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(537,854)	(656,710)
მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება	(427,549)	(875,965)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1,209,174**	**2,929,700**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(33,096)	(262,598)
სხვა საწარმოების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(247,000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(33,096)**	**(509,598)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მესაკუთრეთათვის გადახდილი ფულადი სახსრები, დივიდენდის განაწილება	(889,000)	(1,490,769)
სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, იპოთეკური კრედიტებისა და სხვა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხების გადახდილი ფულადი სახსრები		(57,164)
ნასესხები სახსრების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები;		(1,112,185)
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი	9,536	(15,947)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(879,464)**	**(2,676,065)**
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	296,614	(255,963)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	518,861	774,824
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	815,475	518,861

ხელმძღვანელობის სახელით:

გოჩა წერეთელი
დირექტორი

კახაბერ ლორია
ბუღალტერი

2019 წლის 5 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

11-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ,,L ოილი", შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2005 წლის 01 თებერვალს. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო ქალაქი თბილისი ვაკე საბურთალოს რაიონი ნუცუბიძის N7. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბს რაიონი, გუდაუთის N7, საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ლევან ოთანაშვილი (პ/ნ 01010008599). საწარმოს ჰყავს შვილობილი საწარმო შპს ჯეო-სერვისი (ს/ნ415082118), რომელშიც 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა 100%-იან წილს.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცალო და საბთუმო ვაჭრობა ნავთობპროდუქტებთ. საქმიანობას ახორციელებს შემდეგი რეგიონებში არსებული აგსების მეშვეობით: თელავი, გორი, ფოთი, ბათუმი და გონიო.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთა-შორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერ-თაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

შენიშვნა 2.1. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება შპს ,,L- ოილი“-სა და მისი შვილობილი კომპანიის შპს „ჯეოსერვისი"-ს ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

შპს „L ოილი“-ის შვილობილი კომპანიის შესახებ ინფორმაცია:

##	სახელწოდება	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის და საქმიანობის ადგილი	ფლობილი წილი/ხმის უფლების მქონე წილი (%)	
				31/12/2018	31/12/2017
1	შპს ,,ჯეო სერვისი"	საცალო და საბთუმო ვაჭრობა ნავთობპროდუქტებთ.	საქართველო	100	100

შენიშვნა 2.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები

კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად:

ა) გაერთიანებულია „L ოილი“-ს და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;

ბ) გამორიცხულია შვილობილ საწარმოში „L ოილი“-ს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და „L ოილი“-ს წილი შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში;

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამომაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორცი-ელებული ინვესტიცია ფასდება თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	15%-20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშაულებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდბა მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

შენიშვნა 5. ამონაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საქონლის გაყიდვა	45,285,296	49,987,950
შემოსავალი ფართის გაქირავებიდან	105,606	112,125
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	2,907,007
	45,390,902	**53,007,082**

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
შემოსავალი კურსთა შორის სხვაობიდან	39,192	141,857
საპროცენტო შემოსავლები	3,960	135,657
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	9,521
	43,152	**287,035**

სხვა შემოსავლებში ჩართული ფინანსური შემოსავლები (რეალური ღირებულების ცვლილების ჩათვლით)

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ა) რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები		
· საპროცენტო შემოსავლები	3,960	135,657
· შემოსულობა რეალური ღირებულების ცვლილებიდან	39,192	141,857

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საკურსო სხვაობები რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების საკურსო სხვაობების გამოკლებით		
კომუნალური დანახარჯები	81,134	79,499
საწვავის ხარჯი	18,738	9,029
კომპიუტერის ხარჯები	445	4,433
აუდიტის მომსახურების ხარჯი	12,600	11,628
საგადასახადო ხარჯი	117,173	33,418
სტანდარტიზაციის ხარჯი	2,037	1,105
სალარო აპარატის მომსახურების ხარჯი	1,200	1,382
საბანკო ხარჯი	21,992	8,831
სატრანსპორტო ხარჯი	182,023	363,946
უზრუნველყოფის ხარჯი	3,461	1,590
საკანცელარიო ხარჯი	2,135	3,119
მივლინების დანახარჯები	1,185	1,505
სხვა საერთო ხარჯი	66,316	387,520
ჯარიმა საურავები	790	755
ზარალი საკურსო სხვაობიდან	6,831	15,947
დაცვის მომსახურების	3,102	3,102
საკანცელარი	402	252
დაზღვევა	736	
დასუფთავების მოსაკრებელი	1,500	1,800
ინკასაციის ხარჯი	3,600	2,400
	527,402	**931,261**

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ა) რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები		
· საპროცენტო ხარჯები	-	(58,893)
· ზარალი რეალური ღირებულების ცვლილებიდან	6,831	15,947

შენიშვნა 9. წინა პერიოდის შეცდომები

	წარდგენილი	კორექტირების თანხა	კორექტირებით მიღებული თანხა
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
სხვა ხარჯები	(859,365)	(8,809)	(868,174)
ადმინისტრაციული ხარჯები	(969,302)	(1467)	(970769)

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 10. ძირითადი საშუალებები

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.18	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 01.01.2018
თვითღირებულება				
მიწის ნაკვეთები	2,169,596			2,169,596
დაუმთავრებელი მშენებლობა	21,917			21,917
შენობები	2,250,658			2,250,658
ნაგებობები	102,186			102,186
მანქანა-დანადგარები	304,200	3,876		300,324
ოფისის აღწურვილობა	114,585	12,375		102,210
ავეჯი და სხვა ინვენტარი	108,849	11,797		97,052
სატრანსპორტო საშუალებები	138,071			138,071
სხვა ძირითადი საშუალებები	875			875
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	226,847			226,847
ჯამი	**5,437,784**	**28,048**	-	**5,409,736**
ცვეთა	**ნაშთი 31.12.17**	**ცვეთის ჩამოწერა**	**ცვეთის დარიცხვა**	**ნაშთი 31.12.17**
შენობები	1,063,653		95,650	968,003
ნაგებობები	36,376		9642	26733
მანქანა-დანადგარები	268,741		23,845	244,897
ოფისის აღწურვილობა	52,472		12,260	40,212
ავეჯი და სხვა ინვენტარი	55,072		7,899	47,173
სატრანსპორტო საშუალებები	52,920		9,506	43,414
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	34,027		34,027	-
სხვა ძირითადი საშუალებები	387		175	212
ჯამი	**1,563,648**	-	**193,004**	**1,370,644**
საბალანსო ღირებულება	**3,874,135**			**4,039,091**

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნუ-ლების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 11. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა
1 იანვარი 2018 წ.	2,390
შემოსვლა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2018 წ.	2,390
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	-
1 იანვარი 2018 წ.	-
წლიური ამორტიზაცია	358
გაუფასურების ზარალი	
გასული აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია (ჩართულია ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯში ან ადმინისტრაციულ ხარჯებში)	
31 დეკემბერი 2018 წ.	358
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2018 წ.	2,031

შენიშვნა 12. მარაგი

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნედლეული და მასალები	1,454,099	1,264,292
დაუმთავრებელი წარმოება	37,819	33,961
მზა პროდუქცია		
ჯამი	**1,491,917**	**1,298,253**
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	**39,107,256**	**43,180,724**

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო დებიტორები	4,744,204	4,620,093
გაუფასურების ზარალის თანხა	-	-
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	**4,744,204**	**4,620,093**
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები	-	5,831
სხვა მხარეებისაგან მისაღები	4,744,204	4,614,262
წინასწარი გადახდები	499,867	1,906,981
მოთხოვნები დარიცხული შემოსავლებიდან	-	-
ჯამი	**5,244,071**	**6,527,074**

სავაჭრო დებიტორებში შეტანილი მოთხოვნა ჩვეულებრივი იჯარის მიხედვით

შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები პერიოდების მიხედვით შეადგენს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
არა უგვიანეს ერთი წლისა	63,000	63,000
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	252,000	252,000
ხუთი წლის შემდეგ		63,000
	315,000	**378,000**

შენიშვნა 14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფულადი სახსრები სალაროში	54,365	137,318
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	761,110	381,543
	815,475	**518,861**

შენიშვნა 15. საწესდებო კაპიტალი

	31 დეკემბერი 2018
საწარმოს პარტნიორების კაპიტალი წესდების მიხედვით	2,000
საწარმოს პარტნიორების ვალდებულება კაპიტალის შევსებაზე	-
შევსებული კაპიტალის ოდენობა	2,000

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	1,713,133	1,910,037
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათათვის გადასახადელი	18,527	-
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	1,694,606	1,910,037
წინასწარ მიღებული თანხები	58,842	8,976
	1,771,976	**1,919,013**

სავაჭრო ვალდებულებებში შეტანილი ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულება

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს რამოდენიმე სასაწყობე ფართი. ამ იჯარის საშუალო ვადა 5 წელია. საიჯარო გადასახდელების გადახდა ხდება ფიქსირებული თანხით. ხარჯად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მოკლევადიანი ვალდებულება	314,932	420,552

წლის ბოლოს საწარმოს გააჩნია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების შემდეგი ვალდებულებები:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
არა უგვიანეს ერთი წლისა	314,932	420,552
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	1,259,730	1,682,207
ხუთი წლის შემდეგ		420,552
	1,574,662	**2,523,311**

საწარმო უფლებამოსილია განაახლოს იჯარის ხელშეკრულება ვადის ამოწურვის შემდეგ.

შენიშვნა 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

(ა) 2019 წლის 7 აგვისტოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (N B19084825/3) სუბიექტის რეოგანიზაციაზე, რომლის მიხედვითაც შვილობლი საწარმო შპს ჯეო-სერვისი (ს/ნ415082118) შეერწყა შპს L ოილი (205051085).

(ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ შემოწმების ბრძანება N-3138, N-10462 განხორციელდა საწარმოს გასვლითი სრული შემოწმება რომლის შედეგებითაც საზოგადოებას დამატებით დაერიცხა 474102 ლარი ბიუჯეტში გადასახდელად, საწარმო არ აღიარებს აღნიშნულ დარიცხვას და მოელის დარიცხული თანხის სრულად ანულირებას (გაუქმებას).

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმო დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

შვილობილ საწარმოს - ჯეო სერვისს და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ოპერაციები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან		
საქონლის ყიდვა		
საქონლის გაყიდვა	2,221,957	2,033,324
დაუფარავი ნაშთების თანხა:		
ვალდებულებები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან	18,526	-
სულ ვალდებულებები	**18,526**	**-**
მოთხოვნები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოების მიმართ		5,831
დაუფარავ ნაშთების საეჭვო ვალების ანარიცხები	-	-
სულ მოთხოვნები	**-**	**5,831**
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	**163,188**	**100,000**
შვილობილი კომპანიის შპს „ჯეოსერვისი“-ს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირის მთლიანი კომპენსაცია	**17,500**	**15,625**

შენიშვნა 19. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 5 სექტემბერს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „L ოილი“

მმართველობის ანგარიშგება

(2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვდენილობაზე აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 17 სექტემბერს

შპს „L ოილი“ის დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____

დირექტორი

გოჩა წერეთელი

17 სექტემბერი 2019 წელი

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „L ოილი“ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „L ოილი“ის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენ ჩავატარეთ გარიგება მარწმუნებელი გარიგებებისათვის ნებადართული მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული). ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1ს და შესაბამისად გააჩნია ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა მათ შორის დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

ჩვენ აუდიტის საერთაშორისი სტანდარტების შესაბამისად აქამდე ჩავატარეთ კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2019 წლის 5 სექტემბერს 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას.

მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები რომლებიც მოხდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ პროფესიული განსჯის საფუძველზე შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება ,ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა შედარება და შეჯერება.

მოსაზრება

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

- 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ. № SARAS-A-730184)

17 სექტემბერი 2019 წელი

შპს “L-ოილი”

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

ქ. თბილისი

2019 წელი

2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა

მთავარი

კომპანია „L-ოილი“ შეიქმნა 2005 წელს და განვლილი პერიოდის განმავლობაში საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე წარმატებით დაიმკვიდრა საუკეთესო ხარისხის საწვავის მომოდებლისა და საიმედო პარტნიორის სახელი. ვაცნობიერებთ რა უდიდეს პასუხისმგებლობას ქვეყნის კანონმდებლობის წინაშე, ასევე ერთგულებას მაღალი კორპორატიული სტანდარტების მიმართ, ჩვენი მისიაა მომხმარებელს ბაზარზე შევთავაზოთ საუკეთესო პროდუქტი და მომსახურება.

კომპანია არსებობის მანძილზე მოემსახურა და ემსახურება ხუთასზე მეტ ეკონომიკურ აგენტს საწვავის საბითუმო მიწოდების კუთხით. ამავდროულად კომპანიაში საცალო რეალიზაციის მიმართულებაში მიზანმიმართული რეინვესტირებით გამართა ავტოგასამართი სადგურების ქსელი ქვეყნის მასშტაბით, რამაც საშუალება მოგვცა საცალო მომხმარებლისთვის გაგვეწია მაღალი ხარისხის პროდუქტებით უზრუნველყოფა.

კომპანიას ავტოგასამართი სადგურები განთავსებულია თელავში, გორში, ფოთში, ბათუმსა და გონიოში.

ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციაზე მომსახურების ეფექტურობის ზრდის მიზნით, ვახორციელებთ რა ინვესტიციებს ახალი ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად, არსებულის მოდერნიზებისთვის და მომხმარებლებთან კეთილსინდისიერი და მათი მოთხოვნების მაქსიმალურად მოკლე დროში დაკმაყოფილების მიმართულებით.

კომპანია „L-ოილი“ წარმოადგენს კომპანია „ლუკოილ-ჯორჯიას“ არაექსკლუზიურ ქველიცენზიარს, რაც დიდ სიამაყესთან ერთად გვაკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას ქვეყნის, მომხმარებლისა და თანამშრომლების წინაშე - ვიყოთ მაღალი კორპორატიული მომსახურებისა და სტანდარტების ორგანიზაცია. ჩვენი პოლიტიკა დაფუძნებულია შემდეგ ღირებულებებზე -

- პერსონალი - ყველაფერი, რასაც ქმნის კომპანია, ხორციელდება ადამიანების, ჩვენი თანამშრომლების, მიერ ადამიანებისათვის, ჩვენი მომხმარებლებისთვის. კომპანიის წარმატებულ მუშაობაზე ყოველდღიურად ზრუნავს ასზე მეტი თანამშრომელი. ისინი წარმოადგენენ კომპანიის ყველაზე ძვირფას აქტივს.

- ეკოლოგია და ტექნოლოგია - ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით განუხრელად ვიცავთ გარემოს დაცვისათვის ყველა პირობასა და მოთხოვნას, რაც განპირობებულია ბაზარზე მაღალი, ევროპული ხარისხის პროდუქტების მიწოდებით მოწინავე ტექნოლოგიური აღჭურვილობისა და სისტემების მეშვეობით;
- კორპორატიული სტანდარტი - კომპანია საქმიანობას წარმართავს თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან, პარტნიორებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან ღია, პატიოსანი, სამართლიანი და თანასწორუფლებიანობის პრინციპით.

პროდუქტი

კომპანია „L-ოილი“ წარმოადგენს კომპანია „ლუკოილ-ჯორჯიას“ არაექსკლუზიურ ქველიცენზიარს, რის საფუძველზეც გააჩნია განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშნებზე, რომლებიც გამიზნულია საჯარო სააქციო საზოგადოება „ლუკოილის“ პროდუქციის, საქონლის და მომსახურების ინდივიდუალიზაციისთვის (აღნიშვნისთვის) და შესრულებულია სერტიფიკატების შესაბამისად, რომლებიც გაცემულია:

ა) საქართველოს საპატენტო უწყების მიერ №№ 11683, 11684, 11685 პრიორიტეტით, დათარიღებული 08.04.1998 წლით, რათა ქველიცენზიარის მიერ იქნას გამოყენებული საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის 4, 7, 20, 35, 36, 37, 39, 40, 42 კლასების საქონლისა და მომსახურების აღსანიშნავად;

ბ) ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს მიერ (შემდგომში - IB WIPO) № 980745 პრიორიტეტით, დათარიღებული 08.08.2008 წლით, რათა ქველიცენზიარის მიერ იქნას გამოყენებული საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის 35, 37, 43 კლასების მომსახურების აღსანიშნავად, № 1001044 პრიორიტეტით, დათარიღებული 20.08.2008 წლით, რათა ქველიცენზიარის მიერ იქნას გამოყენებული საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის 35, 37, 43 კლასების მომსახურების აღსანიშნავად.

პროდუქტებია - სუპერი, პრემიუმი, ევროდიზელი და ევრორეგულარი და დიზელი.

პარტნიორები და პროექტები

უკვე სამი წელია კომპანია თანამშრომლობს შპს „თეგეტა მოტორსთან“. თელავში ჩვენს გასამართ სადგურზე ფუნქციონირებს შპს „თეგეტა მოტორსის“ ექვსი საავტომობილო ბოქსი და შოურუმი, რომლებიც კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს ავტოპროდუქტებისა და ავტოტექმომსახურების სრულ ასორტიმენტს სთავაზობს. კომპანია მოიცავს მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების, ავტობუსების, სამშენებლო და სპეცტექნიკის დიაგნოსტირებას და შეკეთებას სპეციალური ავტორიზებული პროგრამების მეშვეობით. მომხმარებელი ადგილზე იღებს პროდუქტებისა და სერვისების სრულ სპექტრს თავისი ავტომობილისთვის. საუკეთესო ხარისხის საწვავთან ერთად მას შეუძლია შეიძინოს ავტოსათადარიგო ნაწილები

და შეაკეთოს ადგილზე მაღალი პროფესიონალური გამოცდილების ხელოსნების დახმარებით.

ჩვენი კომპანია აქტიურად თანამშრომლობს სამთო-გადამამუშავებელ სექტორთან. „Rich Metal Group“ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა, რომელიც ბოლნისის რაიონში სამთო-მოპოვებითი საქმიანობით არის დაკავებული. კომპანიები „არემჯი გოლდი“ და „არემჯი კოპერი“ სპილენძისა და ოქროს შემცველი მადნების მოპოვება-გადამუშავების შედეგად აწარმოებენ სპილენძის კონცენტრატს და ოქროს დორე შენადნობს (ნახევარფაბრიკატის სახით). შპს „L-ოილმა“ თანამშრომლობის ფარგლებში „Rich Metal Group“-ს საერთო ჯამში 12 500 000 ლიტრზე მეტი საწვავი მიაწოდა.

გამორჩეულია ჩვენი კომპანიის როლი სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩართული კომპანიების მძიმე ტექნიკის საწვავით მომარაგების საქმეში. ასეთებია ასოციაცია „ატუ“, საგზაო კომპანია „თბილისი“, სამშენებლო კომპანია „გოლდი“, შპს „საგზაო ტექნიკა“, შპს „იბერკომპანი“ და სხვები. აღნიშნულ სექტორში მოღვაწე კომპანიებისთვის შპს „L-ოილს“ 50 000 000 ლიტრზე მეტი საწვავი აქვს მიწოდებული.

აღსანიშნავია თანამშრომლობა სატრანსპორტო და ტვირთების გადამზიდავ კომპანიებთან - „Atillla Transport“, „Dogu Karadeniz“, „Kardal Tourism“, „Mega Trans“, „იუქსელ ინტერნეიშენლ ტრანსპორტი“, „სევერ ტრანსპორტი“ და სხვ. ასევე სოფლის მეურნეობის სექტორში მოღვაწე კომპანიები, როგორებიცაა „შატო მუხრანი“, შპს „ბესინი“, შპს „ჯეო დისტრიბუშენ გრუპი“ და სხვ. აღნიშნული კომპანიების ავტოპარკის სავავით გამართვა ხორციელდება შპს „L-ოილის“ ავტოგასამართ სადგურებზე.

ზემოჩამოთვლილი კომპანიების გარდა შპს „L-ოილს“ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა გააჩნია 500-ზე მეტ ეკონომიკურ აგენტთან, რომლებიც ნავთობპროდუქტების საცალო რეალიზაციის სფეროში არიან ჩაბმულნი, რომლებთანაც სასაქონლო ბრუნვის საერთო ჯამი 700 000 000 ლიტრს აჭარბებს.

კომპანიის მიღწევები

ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგის მიხედვით ჩვენი კომპანია 2015 და 2016 წლებში მოხვდა დარგის ბიზნეს-რეიტინგების ოქროს ნუსხაში. მეექვსე ადგილი დაიკავა დარგის ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაციის შესაბამისად შემდეგ ნომინაციებში - „ბრუნვა“, „მოგება-ზარალი“, „დასაქმებულთა შრომის საშუალო ანაზღაურება“, „პერსონალის ხარჯები“, „თანამშრომელთა რაოდენობა“, „დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა“ და დაჯილდოებულია დარგის ლიდერის წოდებით.

სასამართლო დავები

კომპანია მიმართავდა აღსრულების ეროვნულ ბიუროს და აწარმოებდა სასამართლო დავებს დებიტორების დავალიანებასთან დაკავშირებით. კერძოდ, დავა კომპანია „ბილდ ინდასტრისთან“ დამთავრდა კომპანიისთვის გამამართლებელი განჩინებით და მოვალისთვის დავალიანების გადახდის დაკისრებით. წარმატებით დასრულდა კომპანიის დავა სასამართლოში შპს „ლიკასთან“, რის შედეგადაც კომპანიის სასარგებლოდ მოვალემ იპოთეკით დატვირთა უძრავი ქონება და მოახდინა ვალის რესტრუქტურიზაცია. ამჟამად დავალიანების 90% დაფარულია. წარმატებით დასრულდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში შპს „საგზაო კომპანია თბილისთან“ დავა, რაც გამოიხატა დავალიანების სრულად გასტუმრებაში. კომპანიამ ვალის სანაცვლოდ იპოთეკით დატვირთა დებიტორთა - შპს „ნორექსი“, შპს „ქსილისი“, შპს „არჩი ენერჯი“ უძრავი ქონება. შპს „თკ ოილისგან“ მიღებულია საბანკო გარანტია.

შპს „L-ოილისა“ და მისი შვილობილი საწარმოს, შპს „ჯეო-სერვისის“ მიერ კონკურენციის სააგენტოს წინააღმდეგ სასამართლო დავა წარმოებდა სამი წლის განმავლობაში. შპს „L-ოილს“ ედავებოდნენ 1’290’000 ლარს, შპს „ჯეო სერვისს“ კი 200 ლარს. საბოლოო განჩინებით შპს „ჯეო-სერვისს“ დაეკისრა 200 ლარი ჯარიმა. ასევე შპს „L-ოილსაც“ მოეხსნა რიგი ბრალდებები და დაჯარიმდა სიმბოლური 200 ლარის ოდენობით.

ორგანიზაციის სტრუქტურული გეგმა



კომპანიის საოპერაციო საქმიანობა

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ნავთობპროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანიის საქმიანობა არ რეგულირდება რაიმე სპეციფიკური კანონმდებლობით. არსებობს მხოლოდ სამთავრობო დადგენილებები და ზოგადი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოებისა და სახანძრო წესების დაცვას.

კომპანიის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მოგების მიღება.

2018 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 45,390,902 ლარს შეადგენს, ხოლო საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება - 157,506 ლარს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს - 12,152,321 ლარს, ხოლო საკუთარი კაპიტალი - 10,380,345 ლარია.

საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზარზე კონკურენცია საკმაოდ მაღალია - პატარა ბაზარზე მრავალი დიდი და მცირე კომპანია ეწევა საქმიანობას. საქმიანობის ციკლი არ ხასიათდება სეზონურობით - პროდუქტზე მოთხოვნა მთელი წლის განმავლობაშია.

წარმოების ტექნოლოგია კომპანიას არ გააჩნია, რამდენადაც ახდენს მზა პროდუქტის შეძენასა და მის შემდგომ რეალიზაციას. რესურსების გამოყენებას კომპანია არ მიმართავს, არ სჭირდება.

ბუღალტრული აღრიცხვა არ არის რაიმე პრინციპით გამორჩეული - კომპანია მუშაობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, სტანდარტული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სააღრიცხვო პილიტიკა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, სტანდარტული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს. კომპანიას არ გააჩნია სტანდარტებისაგან განსხვავებული სააღრიცხვო პოლიტიკა. კომპანიას განზრახული აქვს სააღრიცხვო პოლიტიკის მაქსიმალურად დაახლოება ფასს-ის სტანდარტებთან, რაც აქამდე GAAP-ის სტანდარტებთან არის მაქსიმალურად დაახლოებული.

კომპანიას ჰყავს მხოლოდ ერთი დამფუძნებელი დაარსებიდან დღემდე.

კომპანია ფლობს 100%-იან წილს კომპანია „ჯეო-სერვისში“.

მნიშვნელოვანი მომწოდებელია შპს „ლუკოილ-ჯორჯია“, რომლის ქველიცენზიის მფლობელია კომპანია. მას ჰყავს ასევე სხვა მომწოდებლებიც საქართველოს ბაზარზე. მნიშვნელოვანი კლიენტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია - „იბერკომპანი“, “RMG GOLD”, “Baker Hughes International”, „თეგეტა მოტორსი“ და სხვა მრავალი კომპანია მეფრინველეობის, მევენახეობის, სატრანსპორტო გადაზიდვების, ტურისტული სატრანსპორტო მენეჯმენტის, სმშენებლო-საგზაო ინფრასტრუქტურის დარგებიდა.

განსაკუთრებული ურთიერთობა კომპანიას გააჩნია მხოლოდ კომპანია „ლუკოილ-ჯორჯიასთან“, რამდენადაც იგი წარმოადგენს მის ქველიცენზიატს და სარგებლობს მისი ბრენდული ნიშნითა და საწვავის სტაბილური მიწოდებით. აღსანიშნავია, რომ „ლუკოილ-ჯორჯია“ არავითარი სახით არ ერევა კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებებში. სხვა სახის

დაკავშირებულ მხარე კომპანიას ჰყავს კომპანია „ჯეო-სერვისის“ სახით, რომლის 100%-იან წილსაც ფლობს.

კომპანიას მართავს დირექტორი ყველა იმ სტანდარტული უფლება-მოვალეობებით, რაც განსაზღვრულია კომპანიის წესდებითა და „კანონით მეწარმეთა შესახებ“. კომპანიას გააჩნია საფინანსო-ბუღალტრული, ლოჯისტიკის და ტექნიკური განყოფილებები. კომპანიის სტრუქტურა შედგება ასევე ავტო-გასამართი სადგურებისგან, რომლებსაც ადგილობრივ მართვას უწევენ ამ სადგურების მენეჯერები. მათ დაქვემდებარებაში არიან ადგილობრივი თანამშრომლები - ოპერატორები და დამლაგებლები. მენეჯერები ანგარიშვალდებულნი არიან სათო ოფისთან.

კომპანიას დაკავშირებული მხარე არის მხოლოდ კომპანია „ჯეო-სერვისი“, რომლის 100%-იან წილსაც ფლობს და გააჩნია ერთი ავტოგასამართი სადგური. მისი მართვა ხორციელდება იგივე, შპს „L-ოილის“ დირექტორის მიერ. მის დაქვემდებარებაშია გასამართი სადგურის მენეჯერი, ოპერატორები და ბუღალტერი.

კომპანიამ განახორციელა ინვესტიცია კომპანია „ჯეო-სერვისში“ 2013 წელს და შეიძინა მისი 80%-იანი წილი. 2017 წელს კი გამოისყიდა დარჩენილი 20%-იანი წილი პარტნიორისგან.

კომპანიას დაგეგმილი არ აქვს ამ ეტაპზე განახორციელოს სხვა საწარმოს შეძენა ან საკუთარის გასხვისება და არაკონსოლიდირებულ ერთეულებში კომპანიას ინვესტიციები არ გააჩნია.

საოპერაციო საქმიანობა მკაცრ სააღრიცხვო პოლიტიკასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. კომპანიის ავტოგასამართი სადგურის მენეჯერები ანგარიშს ადგენენ ყოველდღიურად სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში, რომლის მიხედვითაც ანგარიშში ასახულია ყოველდღიური რეალიზაცია ნაღდი ანგარიშწორებით, ტალონებით და საკრედიტო ბარათებით. ამავდროულად ანგარიშში ასახულია ინფორმაცია სასაქონლო ნაშთების შესახებ. მათ მიერვე ხორციელდება ყოველდღიური საწვავის ინვენტარიზაცია. ანგარიშის უტყუარობასა და შეცდომების გამორიცხვას სათაო ოფისის აკონტროლებს საწვავის გამშვებ სვეტებზე ჩაშენებული მრიცხველების მოხედვით. მრიცხველები დალუქულია საგადასახადო შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ლუქებით. დალუქვას აწარმოებს სტანდარტიზაციის სახელმწიფო სპეციალური სამსახური. დალუქვის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ასახულია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აგს-ს ეკრძალება ოპერირება. აგს-ის მენეჯერების მიერ გამოგზავნილი ინფორმაცია შემდგომ მუშავდება სათაო ოფისში ბუღალტრულ პროგრამაში.

კომპანიაში დანერგილია სამეთვალყურეო სისტემა - შსს ტექნიკური დავალების საფუძველზე აგს-ებზე განთავსებულია მაღალი გარჩევადობისა და ასევე ღამის რეჟიმში მომუშავე ვიდეო-კამერები, რომლებისც აკონტროლებენ აგს-ების მთელ პერიმეტრსა და მასთან მიმავალ გზებს. აღნიშნულ სამეთვალყურეო სისტემის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს სპეციალური დაცვის ტექნიკური სამსახური შპს „ტიგონისი“.

ტექნიკური სამსახური, მისი ხელმძღვანელის, ალექსანდრე რამაზაშვილის სახით, უზრუნველყოფს აგს-ების გამართულ ტექნიკურ მუშაობას, რაც გამოიხატება გამშვები სვეტების, საწვავის მილსადენების, ელექტრო-მოწყობილობებისა და სხვა მანქანა-დანადგარების გამართულ ფუნქციონირებაში.

ლოჯისტიკის სამსახური კომპანიის დირექტორის დავალებით უზრუნველყოფს სხვადასხვა მომწოდებლებთან და გადამზიდავ კომპანიებთან ურთიერთობას. მისი ფუნქციაა საწვავით აგს-ების უწყვეტი და დროული მომარაგება და სხვადასხვა ბაზებში შესყიდული საქონლის ნაშთების კონტროლი.

ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია საქონლის შესყიდვის, რეალიზაციის და ხარჯების ოპერაციები. ისინი წარმოიშვება კომპანიის ჩვეული საოპერაციო საქმიანობის შესაბამისად. ჩანაწერები ასახულია შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურების და ავტოგასამართ სადგურებზე არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის ჟურნალებში მანუალური ჩანაწერების სახით. სხვა განსაკუთრებული გარემოებები არ არსებობს, რომლებიც გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მონაცემები გენერირდება კომპანიის მიერ შემუშავებული ანგარიშგების ფორმებში ავტოგასამართი სადგურების მენეჯერების მიერ. ასევე ელექტრონული სახით მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან შემოსავლების სამსახურის საიტზე. შემდეგ ეს მონაცემები მუშავდება საბუღალტრო პროგრამაში.

კონტროლი ხორციელდება საწვავის გამშვებ სვეტებზე არსებული მრიცხველების მეშვეობით, რომლებიც დალუქულია შესაბამისი სახელმიფო სტანდარტიზაციის სამსახურის მიერ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული სათანადო პლომბებით, რომლის მკაცრი აღრიცხვაც ხორციელდება შემოსავლების სამსახურის საიტზე ელექტრონულად. არასტანდარტული ან უნებართვო ოპერაციები შეუძლებელია. რეალიზაციიდან შემოსული თანხები ინკასირდება მომსახურე ბანკში. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით ნაღდი ფულის მოძრაობა აკრძალულია კომპანიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე.

მომზადებული ინფორმაციის დამუშავება ხდება სტანდარტული საფინანსო-ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად და გამოიყენება მენეჯმენტის მიერ შიდა გადაწყვეტილებების მიღების და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის პროცესში.

კომპანია აწარმოებს ფასს-ის შესაბამის ანგარიშგების ფორმებს.

რისკები და დაზღვევა

კომპანია ზრუნავს საკუთარ ქონებაზე და სასაქონლო მარაგებზე. ამიტომ იგი თანამშრომლობს სადაზღვევო კომპანიასთან - GPI, სადაც დაზღვეულია -

- შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტები – საინჟინრო ელემენტები, რომელიც შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;

- შენობა-ნაგებობების შიდა მოპირკეთება (რემონტი) – კედლების, იატაკის და ჭერის ყველა სახის სალეს-სამღებრო სამუშაოები, გამოყენებული მასალების და დეკორატიული ელემენტების ჩათვლით; ასევე მათი მოპირკეთება ნებისმიერი სახის მასალით; კარ-ფანჯარა, შემინულობა და ტიხრები;
- საკომუნიკაციო მოწყობილობები: წყალგაყვანილობის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგაყვანილობა და გაზგაყვანილობა;
- მანქანა-დანადგარები და საწარმოო ხაზები;
- ინვენტარი, ავეჯი და ტექნიკა, ინტერიერის საგნები,
- სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

ეკოლოგია, გარემოზე ზრუნვა და ნარჩენების მართვა

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგი ხორციელდება პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის (პად) ფორმების საფუძველზე. (ინსტრუქცია დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების წესის შესახებ). პად-ის ფორმები განკუთვნილია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების (ფორმა №პად-1), აირმტვერდამჭერი და ტექნოლოგიური მოწყობილობების მუშაობის რეჟიმის (ფორმა №პად-2) და ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებების შესრულების (ფორმა №პად-3) აღრიცხვისათვის.

პად-ის ფორმების საწარმოებლად საწარმოს გააჩნია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების განლაგების სქემა მასზე მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების ნომრების ჩვენებით.

პად-ის ფორმების წარმოებას ახორციელებს საწარმო საკუთარი ძალებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ყოველკვარტალურად (ყოველი კვარტლის ბოლოს) ადგენს ანგარიშგების ფორმებს ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განმხორციელებელი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ყველა მის დაქვემდებარებაში არსებული სტაციონარული ობიექტის მიხედვით.

ნარჩენები გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. ხშირად ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ნაგავს თუ თვალს მოაშორებენ, მათთან დაკავშირებული პრობლემებიც თავდება. ეს ასე არ არის. კომპანია აქტიურად არის ჩართული სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული გარემოს დაცვის დეპარტამენტთან, კერძოდ ბ-ნ სოლომონ მაისურაძესთან, ერთად ნარჩენების მართვის საქმიანობაში.

ბატონ სოლომონ მაისურაძესთან კონსულტაციების შემდეგ კომპანიამ ლიცენზირებული ორგანიზაციების ჩამონათვალში ფასთა გამოკითხვის შედეგად ჩამოაყალიბა მჭიდრო თანამშრომლობა კომპანია „ბილჯ-ვოტერთან“, რომელიც ახორციელებს კომპანიის კუთვნილი ობიექტებიდან ნავთობპროდუქტების ნარჩენების ჩაჭირხვნას სპეციალურად გამოყოფილ

ჭაბურღილში, სადაც ნაჩენების ტრანსპორტირება ხორციელდება ლიცენზირებული მანქანით, ბ-ნ გაიოზ ჭყრუნიშვილის ხელმძღვანელობით.

ხანძარსაწინააღდეგო ღონისძიებები

შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად ობიექტის თანამშრომელთაგან თითოეულ ობიექტზე დანიშნულია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი. მათ კოორდინაციას უწევს ტექნიკური სამსახურის უფროსი - ალექსანდრე რამაზაშვილი.

ობიექტის თანამშრომლები სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების შემდეგ, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ობიექტებზე ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით, რომლის წესი და პერიოდულობა განისაზღვრება ობიექტის ხელმძღვანელის მიერ ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მდგრადი მშრალი, ცხელი ამინდის და ძლიერი ქარის დროს, ასევე განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის მოქმედების პერიოდში ობიექტების ხელმძღვანელები იღებენ დამატებითი ზომები ხანძრის გაჩენის საშიშროების შესამცირებლად, მათ შორის:

ა) კრძალავენ ღია ცეცხლის დანთებას და ხანძარსაშიში სამუშაოების წარმოებას განსაზღვრულ უბნებზე;
ბ) ორგანიზებას უწევენ შესაბამისი ტექნიკის მომზადებას, დასახლებებში და მიმდებარე ტყის მასივებში პატრულირებას მოსახლეობის და მოხალისე მეხანძრეების ძალებით და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით;
გ) ორგანიზებას უწევენ მოსახლეობასთან შესაბამისი განმარტებითი სამუშაოების წარმოებას სახანძრო უსაფრთხოების ზომებისა და ხანძრის დროს მოქმედებების თაობაზე.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2019 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი: გოჩა წერეთელი .....

ტელ: (+995) 235 50 60



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„L ოილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.თბილისი

2019

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „L ოილი“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე..... 3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 8

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 9

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 11-22

Contents

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია 12

შენიშვნა 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი 12

შენიშვნა 2.1. კონსოლიდაციის საფუძველი 12

შენიშვნა 2.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები 12

შენიშვნა 3. საღრიცხვო პოლიტიკა 13

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები 17

შენიშვნა 5. ამონაგები 17

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები 17

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები 18

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები 18

შენიშვნა 9. წინა პერიოდის შეცდომები 18

შენიშვნა 10. ძირითადი საშუალებები 19

შენიშვნა 11. არამატერიალური აქტივები 20

შენიშვნა 12. მარაგი 20

შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 21

შენიშვნა 14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები 21

შენიშვნა 15. საწესდებო კაპიტალი 21

შენიშვნა 16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 22

შენიშვნა 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები 22

შენიშვნა 18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები 23

შენიშვნა 19. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....23

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „L ოილი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „L ოილი“ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული საღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, საღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 5 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

გორჩა წერეთელი

დირექტორი

2019 წლის 5 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „L ოილი"ის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „L ოილი"ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „L ოილი"ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „L ოილი"ისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელსაც მივიღებთ აუდიტის დასკვნის შემდგომ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და გავიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „L ოილი"ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „L ოილი"ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასსების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებას. ასსების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ,,L ოილი"ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ,,L ოილი"ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ,,L ოილი" უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს შპს ,,L ოილი"ის ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ინტელექტაუდიტის" სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ. № SARAS-A-730184)

5 სექტემბერი 2019 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " L ოილი"

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	3,874,135	4,039,091
არამატერიალური აქტივები	11	2,031	2,390
სულ გრძელვადიანი აქტივები		**3,876,167**	**4,041,480**
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	12	1,491,917	1,298,253
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	5,244,071	6,527,074
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	14	815,475	518,861
სხვა მიმდინარე აქტივები		724,692	746,268
სულ მიმდინარე აქტივები		**8,276,154**	**9,090,454**
სულ აქტივები:		**12,152,321**	**13,131,935**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		10,378,345	11,156,629
სულ საკუთარი კაპიტალი		**10,380,345**	**11,158,629**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	1,771,976	1,919,013
საგადასახადო ვალდებულებები		-	54,293
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**1,771,976**	**1,973,306**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**12,152,321**	**13,131,935**

ხელმძღვანელობის სახელით:

გოჩა წერეთელი
დირექტორი

კახაბერ ლორია
ბუღალტერი

2019 წლის 5 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

11-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " L ოილი"

კონსოლიდირებული მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	5	45,390,902	53,007,082
გაყიდულლი საქონლის თვითღირებულება		(43,714,559)	(48,699,572)
საერთო მოგება		**1,646,838**	**4,307,510**
სხვა შემოსავალი	6	43,152	287,035
კომერციული ხარჯები		(318,939)	(427,857)
ადმინისტრაციული ხარჯები		(705,372)	(969,302)
სხვა ხარჯები	7	(527,402)	(931,261)
ფინანსური ხარჯები	8	-	(58,893)
მოგება დაბეგვრამდე		**167,782**	**2,207,232**
საგადასახადო ხარჯი			
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა		167,782	2,207,232
შეცდომების გასწორება	9	(10,276)	
პერიოდის წმინდა მოგება		157,506	2,207,232
სათავო საწარმოს წილი		60,314	2,061,712
შვილობილი საწარმოს წილი		97,192	145,520

ხელმძღვანელობის სახელით:

გოჩა წერეთელი
დირექტორი

კახაბერ ლორია
ბუღალტერი

2019 წლის 5 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

11-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " L ოილი"

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

		საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
01.01.2017 ნაშთი	15	2,000	-	10,495,956	10,497,956
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		-	-	(1,546,559)	(1,546,559)
ზრდა/შემცირება					
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		-		2,207,232	2,207,232
31.12.2017 ნაშთი	15	2,000	-	11,156,629	11,158,629
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		-	-	(935,789)	(935,789)
ზრდა/შემცირება					
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		-		157,506	157,506
31.12.2018 ნაშთი	15	2,000	-	10,378,345	10,380,345

ხელმძღვანელობის სახელით:

გოჩა წერეთელი
დირექტორი

კახაბერ ლორია
ბუღალტერი

2019 წლის 5 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

11-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " L ოილი"

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	53,264,557	78,215,794
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(51,089,979)	(73,753,419)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(537,854)	(656,710)
მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება	(427,549)	(875,965)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1,209,174**	**2,929,700**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(33,096)	(262,598)
სხვა საწარმოების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(247,000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(33,096)**	**(509,598)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მესაკუთრეთათვის გადახდილი ფულადი სახსრები, დივიდენდის განაწილება	(889,000)	(1,490,769)
სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, იპოთეკური კრედიტებისა და სხვა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხების გადახდილი ფულადი სახსრები		(57,164)
ნასესხები სახსრების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები;		(1,112,185)
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი	9,536	(15,947)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(879,464)**	**(2,676,065)**
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	296,614	(255,963)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	518,861	774,824
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	815,475	518,861

ხელმძღვანელობის სახელით:

გოჩა წერეთელი
დირექტორი

კახაბერ ლორია
ბუღალტერი

2019 წლის 5 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

11-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ,,L ოილი", შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2005 წლის 01 თებერვალს. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო ქალაქი თბილისი ვაკე საბურთალოს რაიონი ნუცუბიძის N7. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბს რაიონი, გუდაუთის N7, საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ლევან ოთანაშვილი (პ/ნ 01010008599). საწარმოს ჰყავს შვილობილი საწარმო შპს ჯეო-სერვისი (ს/ნ415082118), რომელშიც 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა 100%-იან წილს.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცალო და საბითუმო ვაჭრობა ნავთობპროდუქტებთ. საქმიანობას ახორციელებს შემდეგი რეგიონებში არსებული აგსების მეშვეობით: თელავი, გორი, ფოთი, ბათუმი და გონიო.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

შენიშვნა 2.1. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება შპს ,,L- ოილი"-სა და მისი შვილობილი კომპანიის შპს ,,ჯეოსერვისი"-ს ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

შპს „L ოილი"-ის შვილობილი კომპანიის შესახებ ინფორმაცია:

##	სახელწოდება	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის და საქმიანობის ადგილი	ფლობილი წილი/ხმის უფლების მქონე წილი (%)	
				31/12/2018	31/12/2017
1	შპს ,,ჯეო სერვისი"	საცალო და საბითუმო ვაჭრობა ნავთობპროდუქტებთ.	საქართველო	100	100

შენიშვნა 2.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები

კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად:

ა) გაერთიანებულია „L ოილი"-ს და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;

გ) გამორიცხულია შვილობილ საწარმოში „L ოილი"-ს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და „L ოილი"-ს წილი შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში;

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამომაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორცი-ელებული ინვესტიცია ფასდება თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო

განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	15%-20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშაულებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

შენიშვნა 5. ამონაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საქონლის გაყიდვა	45,285,296	49,987,950
შემოსავალი ფართის გაქირავებიდან	105,606	112,125
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	2,907,007
	45,390,902	**53,007,082**

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
შემოსავალი კურსთა შორის სხვაობიდან	39,192	141,857
საპროცენტო შემოსავლები	3,960	135,657
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	9,521
	43,152	**287,035**

სხვა შემოსავლებში ჩართული ფინანსური შემოსავლები (რეალური ღირებულების ცვლილების ჩათვლით)

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ა) რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები		

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

· საპროცენტო შემოსავლები	3,960	135,657
· შემოსულობა რეალური ღირებულების ცვლილებიდან	39,192	141,857

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საკურსო სხვაობები რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების საკურსო სხვაობების გამოკლებით	81,134	79,499
კომუნალური დანახარჯები	18,738	9,029
საწვავის ხარჯი	445	4,433
კომპიუტერის ხარჯები	12,600	11,628
აუდიტის მომსახურების ხარჯი	117,173	33,418
საგადასახადო ხარჯი	2,037	1,105
სტანდარტიზაციის ხარჯი	1,200	1,382
სალარო აპარატის მომსახურების ხარჯი	21,992	8,831
საბანკო ხარჯი	182,023	363,946
სატრანსპორტო ხარჯი	3,461	1,590
უზრუნველყოფის ხარჯი	2,135	3,119
საკანცელარიო ხარჯი	1,185	1,505
მივლინების დანახარჯები	66,316	387,520
სხვა საერთო ხარჯი	790	755
ჯარიმა საურავები	6,831	15,947
ზარალი საკურსო სხვაობიდან	3,102	3,102
დაცვის მომსახურების	402	252
საკანცელარი	736	
დაზღვევა	1,500	1,800
დასუფთავების მოსაკრებელი	3,600	2,400
ინკასაციის ხარჯი	**527,402**	**931,261**

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ა) რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები		
· საპროცენტო ხარჯები	-	(58,893)
· ზარალი რეალური ღირებულების ცვლილებიდან	6,831	15,947

შენიშვნა 9. წინა პერიოდის შეცდომები

	წარდგენილი	კორექტირების თანხა	კორექტირებით მიღებული თანხა
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
სხვა ხარჯები	(859,365)	(8,809)	(868,174)
ადმინისტრაციული ხარჯები		(969,302)	(1467)
(970769)			

შენიშვნა 10. ძირითადი საშუალებები

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.18	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 01.01.2018
თვითღირებულება				
მიწის ნაკვეთები	2,169,596			2,169,596
დაუმთავრებელი მშენებლობა	21,917			21,917
შენობები	2,250,658			2,250,658
ნაგებობები	102,186			102,186
მანქანა-დანადგარები	304,200	3,876		300,324
ოფისის აღწურვილობა	114,585	12,375		102,210
ავეჯი და სხვა ინვენტარი	108,849	11,797		97,052
სატრანსპორტო საშუალებები	138,071			138,071
სხვა ძირითადი საშუალებები	875			875
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	226,847			226,847
ჯამი	**5,437,784**	**28,048**	**-**	**5,409,736**

ცვეთა	ნაშთი 31.12.17	ცვეთის ჩამოწერა	ცვეთის დარიცხვა	ნაშთი 31.12.17
შენობები	1,063,653		95,650	968,003
ნაგებობები	36,376		9642	26733
მანქანა-დანადგარები	268,741		23,845	244,897
ოფისის აღწურვილობა	52,472		12,260	40,212
ავეჯი და სხვა ინვენტარი	55,072		7,899	47,173
სატრანსპორტო საშუალებები	52,920		9,506	43,414
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	34,027		34,027	-
სხვა ძირითადი საშუალებები	387		175	212
ჯამი	**1,563,648**	**-**	**193,004**	**1,370,644**

		4,039,091
საბალანსო ღირებულება	**3,874,135**	

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნუ-ლების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 11. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა
1 იანვარი 2018 წ.	2,390
შემოსვლა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2018 წ.	2,390
	-
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	-
1 იანვარი 2018 წ.	358
წლიური ამორტიზაცია	
გაუფასურების ზარალი	
გასული აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია (ჩართულია ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯში ან ადმინისტრაციულ ხარჯებში)	
	358
31 დეკემბერი 2018 წ.	
საბალანსო ღირებულება	2,031
31 დეკემბერი 2018 წ.	

შენიშვნა 12. მარაგი

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნედლეული და მასალები	1,454,099	1,264,292
დაუმთავრებელი წარმოება	37,819	33,961
მზა პროდუქცია	**1,491,917**	**1,298,253**
ჯამი	**39,107,256**	**43,180,724**
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება		

შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო დებიტორები	4,744,204	4,620,093
გაუფასურების ზარალის თანხა	-	-
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	**4,744,204**	**4,620,093**
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები	-	5,831
სხვა მხარეებისაგან მისაღები	4,744,204	4,614,262
წინასწარი გადახდები	499,867	1,906,981
მოთხოვნები დარიცხული შემოსავლებიდან	-	-
ჯამი	**5,244,071**	**6,527,074**

სავაჭრო დებიტორებში შეტანილი მოთხოვნა ჩვეულებრივი იჯარის მიხედვით

შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები პერიოდების მიხედვით შეადგენს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
არა უგვიანეს ერთი წლისა	63,000	63,000
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	252,000	252,000
ხუთი წლის შემდეგ		63,000
	315,000	**378,000**

შენიშვნა 14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფულადი სახსრები სალაროში	54,365	137,318
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	761,110	381,543
	815,475	**518,861**

შენიშვნა 15. საწესდებო კაპიტალი

	31 დეკემბერი 2018
საწარმოს პარტნიორების კაპიტალი წესდების მიხედვით	2,000
საწარმოს პარტნიორების ვალდებულება კაპიტალის შევსებაზე	-
შევსებული კაპიტალის ოდენობა	2,000

შენიშვნა 16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	1,713,133	1,910,037
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათათვის გადასახადელი	18,527	-
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	1,694,606	1,910,037
წინასწარ მიღებული თანხები	58,842	8,976
	1,771,976	**1,919,013**

სავაჭრო ვალდებულებებში შეტანილი ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულება

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს რამოდენიმე სასაწყობე ფართი. ამ იჯარის საშუალო ვადა 5 წელია. საიჯარო გადასახდელების გადახდა ხდება ფიქსირებული თანხით. ხარჯად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მოკლევადიანი ვალდებულება	314,932	420,552

წლის ბოლოს საწარმოს გააჩნია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების შემდეგი ვალდებულებები:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
არა უგვიანეს ერთი წლისა	314,932	420,552
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	1,259,730	1,682,207
ხუთი წლის შემდეგ		420,552
	1,574,662	**2,523,311**

საწარმო უფლებამოსილია განაახლოს იჯარის ხელშეკრულება ვადის ამოწურვის შემდეგ.

შენიშვნა 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

(ა) 2019 წლის 7 აგვისტოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (N B19084825/3) სუბიექტის რეოგანიზაციაზე, რომლის მიხედვითაც შვილობლი საწარმო შპს ჯეო-სერვისი (ს/ნ6415082118) შეერწყა შპს L ოილი (205051085).

(ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ შემოწმების ბრძანება N-3138, N-10462 განხორციელდა საწარმოს გასვლითი სრული შემოწმება რომლის შედეგებითაც საზოგადოებას დამატებით დაერიცხა 474102 ლარი ბიუჯეტში გადასახდელად, საწარმო არ აღიარებს აღნიშნულ დარიცხვას და მოელის დარიცხული თანხის სრულად ანულირებას (გაუქმებას).

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმო დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

შვილობილ საწარმოს - ჯეო სერვისს და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ოპერაციები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან		
საქონლის ყიდვა	2,221,957	2,033,324
საქონლის გაყიდვა		
დაუფარავი ნაშთების თანხა:		
ვალდებულებები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან	18,526	-
სულ ვალდებულებები	**18,526**	**-**
მოთხოვნები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოების მიმართ		5,831
დაუფარავ ნაშთების საეჭვო ვალების ანარიცხები	-	-
სულ მოთხოვნები	**-**	**5,831**
უმაღლესი რანგის **ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა**	**163,188**	**100,000**
შვილობილი კომპანიის **შპს „ჯეოსერვისი"-ს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირის მთლიანი კომპენსაცია**	**17,500**	**15,625**

შენიშვნა 19. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის წებართვა გასცა 2019 წლის 5 სექტემბერს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „L ოილი“

მმართველობის ანგარიშგება

(2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვდენილობაზე აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 17 სექტემბერს

შპს „L ოილი“ის დირექტორთა საბჭოს სახელით:

დირექტორი

გოჩა წერეთელი

17 სექტემბერი 2019 წელი

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „L ოილი"ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „L ოილი"ის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენ ჩავატარეთ გარიგება მარწმუნებელი გარიგებებისათვის ნებადართული მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული). ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1ს და შესაბამისად გააჩნია ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა მათ შორის დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

ჩვენ აუდიტის საერთაშორისი სტანდარტების შესაბამისად აქამდე ჩავატარეთ კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2019 წლის 5 სექტემბერს 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას.

მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები რომლებიც მოხდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ პროფესიული განსჯის საფუძველზე შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება ,ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან ასევე განვახორცილეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა შედარება და შეჯერება.

მოსაზრება

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

- 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ. № SARAS-A-730184)

17 სექტემბერი 2019 წელი

ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქუჩა №6; ტელ: 322 35 25 12; მობ: 593 31 40 22; Email: intelektauditi@gmail.com;

შპს "L-ოილი"

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

ქ. თბილისი

2019 წელი

2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა

მთავარი

კომპანია „L-ოილი“ შეიქმნა 2005 წელს და განვლილი პერიოდის განმავლობაში საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე წარმატებით დაიმკვიდრა საუკეთესო ხარისხის საწვავის მომოდებლისა და საიმედო პარტნიორის სახელი. ვაცნობიერებთ რა უდიდეს პასუხისმგებლობას ქვეყნის კანონმდებლობის წინაშე, ასევე ერთგულებას მაღალი კორპორატიული სტანდარტების მიმართ, ჩვენი მისიაა მომხმარებელს ბაზარზე შევთავაზოთ საუკეთესო პროდუქტი და მომსახურება.

კომპანია არსებობის მანძილზე მოემსახურა და ემსახურება ხუთასზე მეტ ეკონომიკურ აგენტს საწვავის საბითუმო მიწოდების კუთხით. ამავდროულად კომპანიაში საცალო რეალიზაციის მიმართულებაში მიზანმიმართული რეინვესტირებით გამართა ავტოგასამრთი სადგურების ქსელი ქვეყნის მასშტაბით, რამაც საშუალება მოგვცა საცალო მომხმარებლისთვის გაგვეწია მაღალი ხარისხის პროდუქტებით უზრუნველყოფა.

კომპანიას ავტოგასამართი სადგურები განთავსებულია თელავში, გორში, ფოთში, ბათუმსა და გონიოში.

ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციაზე მომსახურების ეფექტურობის ზრდის მიზნით, ვახორციელებთ რა ინვესტიციებს ახალი ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად, არსებულის მოდერნიზებისთვის და მომხმარებლებთან კეთილსინდისიერი და მათი მოთხოვნების მაქსიმალურად მოკლე დროში დაკმაყოფილების მიმართულებით.

კომპანია „L-ოილი“ წარმოადგენს კომპანია „ლუკოილ-ჯორჯიას“ არაექსკლუზიურ ქველიცენზიარს, რაც დიდ სიამაყესთან ერთად გვაკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას ქვეყნის, მომხმარებლისა და თანამშრომლების წინაშე - ვიყოთ მაღალი კორპორატიული მომსახურებისა და სტანდარტების ორგანიზაცია. ჩვენი პოლიტიკა დაფუძნებულია შემდეგ ღირებულებებზე -

- პერსონალი - ყველაფერი, რასაც ქმნის კომპანია, ხორციელდება ადამიანების, ჩვენი თანამშრომლების, მიერ ადამიანებისათვის, ჩვენი მომხმარებლებისთვის. კომპანიის წარმატებულ მუშაობაზე ყოველდღიურად ზრუნავს ასზე მეტი თანამშრომელი. ისინი წარმოადგენენ კომპანიის ყველაზე ძვირფას აქტივს.

- ეკოლოგია და ტექნოლოგია - ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით განუხრელად ვიცავთ გარემოს დაცვისათვის ყველა პირობასა და მოთხოვნას, რაც განპირობებულია ბაზარზე მაღალი, ევროპული ხარისხის პროდუქტების მიწოდებით მოწინავე ტექნოლოგიური აღჭურვილობისა და სისტემების მეშვეობით;
- კორპორატიული სტანდარტი - კომპანია საქმიანობას წარმართავს თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან, პარტნიორებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან ღია, პატიოსანი, სამართლიანი და თანასწორუფლებიანობის პრინციპით.

პროდუქტი

კომპანია „L-ოილი“ წარმოადგენს კომპანია „ლუკოილ-ჯორჯიას“ არაექსკლუზიურ ქველიცენზიარს, რის საფუძველზეც გააჩნია განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშნებზე, რომლებიც გამიზნულია საჯარო სააქციო საზოგადოება „ლუკოილის“ პროდუქციის, საქონლის და მომსახურების ინდივიდუალიზაციისთვის (აღნიშვნისთვის) და შესრულებულია სერტიფიკატების შესაბამისად, რომლებიც გაცემულია:

ა) საქართველოს საპატენტო უწყების მიერ №№ 11683, 11684, 11685 პრიორიტეტით, დათარიღებული 08.04.1998 წლით, რათა ქველიცენზიარის მიერ იქნას გამოყენებული საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის 4, 7, 20, 35, 36, 37, 39, 40, 42 კლასების საქონლისა და მომსახურების აღსანიშნავად;

ბ) ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს მიერ (შემდგომში - IB WIPO) № 980745 პრიორიტეტით, დათარიღებული 08.08.2008 წლით, რათა ქველიცენზიარის მიერ იქნას გამოყენებული საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის 35, 37, 43 კლასების მომსახურების აღსანიშნავად, № 1001044 პრიორიტეტით, დათარიღებული 20.08.2008 წლით, რათა ქველიცენზიარის მიერ იქნას გამოყენებული საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის 35, 37, 43 კლასების მომსახურების აღსანიშნავად.

პროდუქტებია - სუპერი, პრემიუმი, ევროდიზელი და ევრორეგულარი და დიზელი.

პარტნიორები და პროექტები

უკვე სამი წელია კომპანია თანამშრომლობს შპს „თეგეტა მოტორსთან“. თელავში ჩვენს გასამართ სადგურზე ფუქნციონირებს შპს „თეგეტა მოტორსის“ ექვსი საავტომობილო ბოქსი და შოურუმი, რომლებიც კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს ავტოპროდუქტებისა და ავტოტექმომსახურების სრულ ასორტიმენტს სთავაზობს. კომპანია მოიცავს მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების, ავტობუსების, სამშენებლო და სპეცტექნიკის დიაგნოსტირებას და შეკეთებას სპეციალური ავტორიზებული პროგრამების მეშვეობით. მომხმარებელი ადგილზე იღებს პროდუქტებისა და სერვისების სრულ სპექტრს თავისი ავტომობილისთვის. საუკეთესო ხარისხის საწვავთან ერთად მას შეუძლია შეიძინოს ავტოსათადარიგო ნაწილები

და შეაკეთოს ადგილზე მაღალი პროფესიონალური გამოცდილების ხელოსნების დახმარებით.

ჩვენი კომპანია აქტიურად თანამშრომლობს სამთო-გადამამუშავებელ სექტორთან. „Rich Metal Group“ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა, რომელიც ბოლნისის რაიონში სამთო-მოპოვებითი საქმიანობით არის დაკავებული. კომპანიები „არემჯი გოლდი“ და „არემჯი კოპერი“ სპილენძისა და ოქროს შემცველი მადნების მოპოვება-გადამუშავების შედეგად აწარმოებენ სპილენძის კონცენტრატს და ოქროს დორე შენადნობს (ნახევარფაბრიკატის სახით). შპს „L-ოილმა“ თანამშრომლობის ფარგლებში „Rich Metal Group“-ს საერთო ჯამში 12 500 000 ლიტრზე მეტი საწვავი მიაწოდა.

გამორჩეულია ჩვენი კომპანიის როლი სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩართული კომპანიების მძიმე ტექნიკის საწვავით მომარაგების საქმეში. ასეთებია ასოციაცია „ატუ“, საგზაო კომპანია „თბილისი“, სამშენებლო კომპანია „გოლდი“, შპს „საგზაო ტექნიკა“, შპს „იბერკომპანი“ და სხვები. აღნიშნულ სექტორში მოღვაწე კომპანიებისთვის შპს „L-ოილს“ 50 000 000 ლიტრზე მეტი საწვავი აქვს მიწოდებული.

აღსანიშნავია თანამშრომლობა სატრანსპორტო და ტვირთების გადამზიდავ კომპანიებთან - „Atillla Transport“, „Dogu Karadeniz“, „Kardal Tourism“, „Mega Trans“, „იუქსელ ინტერნეიშენლ ტრანსპორტი“, „სევერ ტრანსპორტი“ და სხვ. ასევე სოფლის მეურნეობის სექტორში მოღვაწე კომპანიები, როგორებიცაა „შატო მუხრანი“, შპს „ბესინი“, შპს „ჯეო დისტრიბუშენ გრუპი“ და სხვ. აღნიშნული კომპანიების ავტოპარკის სავავით გამართვა ხორციელდება შპს „L-ოილის“ ავტოგასამართ სადგურებზე.

ზემოჩამოთვლილი კომპანიების გარდა შპს „L-ოილს“ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა გააჩნია 500-ზე მეტ ეკონომიკურ აგენტთან, რომლებიც ნავთობპროდუქტების საცალო რეალიზაციის სფეროში არიან ჩაბმულნი, რომლებთანაც სასაქონლო ბრუნვის საერთო ჯამი 700 000 000 ლიტრს აჭარბებს.

კომპანიის მიღწევები

ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგის მიხედვით ჩვენი კომპანია 2015 და 2016 წლებში მოხვდა დარგის ბიზნეს-რეიტინგების ოქროს ნუსხაში. მეექვსე ადგილი დაიკავა დარგის ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაციის შესაბამისად შემდეგ ნომინაციებში - „ბრუნვა“, „მოგება-ზარალი“, „დასაქმებულთა შრომის საშუალო ანაზღაურება“, „პერსონალის ხარჯები“, „თანამშრომელთა რაოდენობა“, „დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა“ და დაჯილდოებულია დარგის ლიდერის წოდებით.

სასამართლო დავები

კომპანია მიმართავდა აღსრულების ეროვნულ ბიუროს და აწარმოებდა სასამართლო დავებს დებიტორების დავალიანებასთან დაკავშირებით. კერძოდ, დავა კომპანია „ბილდ ინდასტრისთან“ დამთავრდა კომპანიისთვის გამამართლებელი განჩინებით და მოვალისთვის დავალიანების გადახდის დაკისრებით. წარმატებით დასრულდა კომპანიის დავა სასამართლოში შპს „ლიკასთან“, რის შედეგადაც კომპანიის სასარგებლოდ მოვალემ იპოთეკით დატვირთა უძრავი ქონება და მოახდინა ვალის რესტრუქტურიზაცია. ამჟამად დავალიანების 90% დაფარულია. წარმატებით დასრულდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში შპს „საგზაო კომპანია თბილისთან“ დავა, რაც გამოიხატა დავალიანების სრულად გასტუმრებაში. კომპანიამ ვალის სანაცვლოდ იპოთეკით დატვირთა დებიტორთა - შპს „ნორექსი“, შპს „ქსილისი“, შპს „არჩი ენერჯი“ უძრავი ქონება. შპს „თკ ოილისგან“ მიღებულია საბანკო გარანტია.

შპს „L-ოილისა“ და მისი შვილობილი საწარმოს, შპს „ჯეო-სერვისის“ მიერ კონკურენციის სააგენტოს წინააღმდეგ სასამართლო დავა წარმოებდა სამი წლის განმავლობაში. შპს „L-ოილს“ ედავებოდნენ 1’290’000 ლარს, შპს „ჯეო სერვისს“ კი 200 ლარს. საბოლოო განჩინებით შპს „ჯეო-სერვისს“ დაეკისრა 200 ლარი ჯარიმა. ასევე შპს „L-ოილსაც“ მოეხსნა რიგი ბრალდებები და დაჯარიმდა სიმბოლური 200 ლარის ოდენობით.

ორგანიზაციის სტრუქტურული გეგმა



კომპანიის საოპერაციო საქმიანობა

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ნავთობპროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანიის საქმიანობა არ რეგულირდება რაიმე სპეციფიკური კანონმდებლობით. არსებობს მხოლოდ სამთავრობო დადგენილებები და ზოგადი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოებისა და სახანძრო წესების დაცვას.

კომპანიის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მოგების მიღება.

2018 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 45,390,902 ლარს შეადგენს, ხოლო საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება - 157,506 ლარს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს - 12,152,321 ლარს, ხოლო საკუთარი კაპიტალი - 10,380,345 ლარია.

საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზარზე კონკურენცია საკმაოდ მაღალია - პატარა ბაზარზე მრავალი დიდი და მცირე კომპანია ეწევა საქმიანობას. საქმიანობის ციკლი არ ხასიათდება სეზონურობით - პროდუქტზე მოთხოვნა მთელი წლის განმავლობაშია.

წარმოების ტექნოლოგია კომპანიას არ გააჩნია, რამდენადაც ახდენს მზა პროდუქტის შეძენასა და მის შემდგომ რეალიზაციას. რესურსების გამოყენებას კომპანია არ მიმართავს, არ სჭირდება.

ბუღალტრული აღრიცხვა არ არის რაიმე პრინციპით გამორჩეული - კომპანია მუშაობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, სტანდარტული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სააღრიცხვო პილიტიკა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, სტანდარტული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს. კომპანიას არ გააჩნია სტანდარტებისაგან განსხვავებული სააღრიცხვო პოლიტიკა. კომპანიას განზრახული აქვს სააღრიცხვო პოლიტიკის მაქსიმალურად დაახლოება ფასს-ის სტანდარტებთან, რაც აქამდე GAAP-ის სტანდარტებთან არის მაქსიმალურად დაახლოებული.

კომპანიას ჰყავს მხოლოდ ერთი დამფუძნებელი დაარსებიდან დღემდე.

კომპანია ფლობს 100%-იან წილს კომპანია „ჯეო-სერვისში“.

მნიშვნელოვანი მომწოდებელია შპს „ლუკოილ-ჯორჯია“, რომლის ქველიცენზიის მფლობელია კომპანია. მას ჰყავს ასევე სხვა მომწოდებლებიც საქართველოს ბაზარზე. მნიშვნელოვანი კლიენტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია - „იბერკომპანი“, “RMG GOLD”, “Baker Hughes International”, „თეგეტა მოტორსი“ და სხვა მრავალი კომპანია მეფრინველეობის, მევენახეობის, სატრანსპორტო გადაზიდვების, ტურისტული სატრანსპორტო მენეჯმენტის, სმშენებლო-საგზაო ინფრასტრუქტურის დარგებიდა.

განსაკუთრებული ურთიერთობა კომპანიას გააჩნია მხოლოდ კომპანია „ლუკოილ-ჯორჯიასთან“, რამდენადაც იგი წარმოადგენს მის ქველიცენზიატს და სარგებლობს მისი ბრენდული ნიშნითა და საწვავის სტაბილური მიწოდებით. აღსანიშნავია, რომ „ლუკოილ-ჯორჯია“ არავითარი სახით არ ერევა კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებებში. სხვა

სახის დაკავშირებულ მხარე კომპანიას ჰყავს კომპანია „ჯეო-სერვისის“ სახით, რომლის 100%-იან წილსაც ფლობს.

კომპანიას მართავს დირექტორი ყველა იმ სტანდარტული უფლება-მოვალეობებით, რაც განსაზღვრულია კომპანიის წესდებითა და „კანონით მეწარმეთა შესახებ“. კომპანიას გააჩნია საფინანსო-ბუღალტრული, ლოჯისტიკის და ტექნიკური განყოფილებები. კომპანიის სტრუქტურა შედგება ასევე ავტო-გასამართი სადგურებისგან, რომლებსაც ადგილობრივ მართვას უწევენ ამ სადგურების მენეჯერები. მათ დაქვემდებარებაში არიან ადგილობრივი თანამშრომლები - ოპერატორები და დამლაგებლები. მენეჯერები ანგარიშვალდებულნი არიან სათაო ოფისთან.

კომპანიას დაკავშირებული მხარე არის მხოლოდ კომპანია „ჯეო-სერვისი“, რომლის 100%-იან წილსაც ფლობს და გააჩნია ერთი ავტოგასამართი სადგური. მისი მართვა ხორციელდება იგივე, შპს „L-ოილის“ დირექტორის მიერ. მის დაქვემდებარებაშია გასამართი სადგურის მენეჯერი, ოპერატორები და ბუღალტერი.

კომპანიამ განახორციელა ინვესტიცია კომპანია „ჯეო-სერვისში“ 2013 წელს და შეიძინა მისი 80%-იანი წილი. 2017 წელს კი გამოისყიდა დარჩენილი 20%-იანი წილი პარტნიორისგან.

კომპანიას დაგეგმილი არ აქვს ამ ეტაპზე განახორციელოს სხვა საწარმოს შეძენა ან საკუთარის გასხვისება და არაკონსოლიდირებულ ერთეულებში კომპანიას ინვესტიციები არ გააჩნია.

საოპერაციო საქმიანობა მკაცრ სააღრიცხვო პოლიტიკასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. კომპანიის ავტოგასამართი სადგურის მენეჯერები ანგარიშს ადგენენ ყოველდღიურად სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში, რომლის მიხედვითაც ანგარიშში ასახულია ყოველდღიური რეალიზაცია ნაღდი ანგარიშწორებით, ტალონებით და საკრედიტო ბარათებით. ამავდროულად ანგარიშში ასახულია ინფორმაცია სასაქონლო ნაშთების შესახებ. მათ მიერვე ხორციელდება ყოველდღიური საწვავის ინვენტარიზაცია. ანგარიშის უტყუარობასა და შეცდომების გამორიცხვას სათაო ოფისის აკონტროლებს საწვავის გამშვებ სვეტებზე ჩაშენებული მრიცხველების მოხედვით. მრიცხველები დალუქულია საგადასახადო შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ლუქებით. დალუქვას აწარმოებს სტანდარტიზაციის სახელმწიფო სპეციალური სამსახური. დალუქვის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ასახულია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აგს-ს ეკრძალება ოპერირება. აგს-ის მენეჯერების მიერ გამოგზავნილი ინფორმაცია შემდგომ მუშავდება სათაო ოფისში ბუღალტრულ პროგრამაში.

კომპანიაში დანერგილია სამეთვალყურეო სისტემა - შპს ტექნიკური დავალების საფუძველზე აგს-ებზე განთავსებულია მაღალი გარჩევადობისა და ასევე ღამის რეჟიმში მომუშავე ვიდეო-კამერები, რომლებისც აკონტროლებენ აგს-ების მთელ პერიმეტრსა და მასთან მიმავალ გზებს. აღნიშნულ სამეთვალყურეო სისტემის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს სპეციალური დაცვის ტექნიკური სამსახური შპს „ტიგონისი“.

ტექნიკური სამსახური, მისი ხელმძღვანელის, ალექსანდრე რამაზაშვილის სახით, უზრუნველყოფს აგს-ების გამართულ ტექნიკურ მუშაობას, რაც გამოიხატება გამშვები სვეტების, საწვავის მილსადენების, ელექტრო-მოწყობილობებისა და სხვა მანქანა-დანადგარების გამართულ ფუნქციონირებაში.

ლოჯისტიკის სამსახური კომპანიის დირექტორის დავალებით უზრუნველყოფს სხვადასხვა მომწოდებლებთან და გადამზიდავ კომპანიებთან ურთიერთობას. მისი ფუნქციაა საწვავით აგს-ების უწყვეტი და დროული მომარაგება და სხვადასხვა ბაზებში შესყიდული საქონლის ნაშთების კონტროლი.

ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია საქონლის შესყიდვის, რეალიზაციის და ხარჯების ოპერაციები. ისინი წარმოიშვება კომპანიის ჩვეული საოპერაციო საქმიანობის შესაბამისად. ჩანაწერები ასახულია შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურების და ავტოგასამართ სადგურებზე არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის ჟურნალებში მანუალური ჩანაწერების სახით. სხვა განსაკუთრებული გარემოებები არ არსებობს, რომლებიც გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მონაცემები გენერირდება კომპანიის მიერ შემუშავებული ანგარიშგების ფორმებში ავტოგასამართი სადგურების მენეჯერების მიერ. ასევე ელექტრონული სახით მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან შემოსავლების სამსახურის საიტზე. შემდეგ ეს მონაცემები მუშავდება საბუღალტრო პროგრამაში.

კონტროლი ხორციელდება საწვავის გამშვებ სვეტებზე არსებული მრიცხველების მეშვეობით, რომლებიც დალუქულია შესაბამისი სახელმიფო სტანდარტიზაციის სამსახურის მიერ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული სათანადო პლომბებით, რომლის მკაცრი აღრიცხვაც ხორციელდება შემოსავლების სამსახურის საიტზე ელექტრონულად. არასტანდარტული ან უნებართვო ოპერაციები შეუძლებელია. რეალიზაციიდან შემოსული თანხები ინკასირდება მომსახურე ბანკში. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით ნაღდი ფულის მოძრაობა აკრძალულია კომპანიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე.

მომზადებული ინფორმაციის დამუშავება ხდება სტანდარტული საფინანსო-ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად და გამოიყენება მენეჯმენტის მიერ შიდა გადაწყვეტილებების მიღების და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის პროცესში.

კომპანია აწარმოებს ფასს-ის შესაბამის ანგარიშგების ფორმებს.

რისკები და დაზღვევა

კომპანია ზრუნავს საკუთარ ქონებაზე და სასაქონლო მარაგებზე. ამიტომ იგი თანამშრომლობს სადაზღვევო კომპანიასთან - GPI, სადაც დაზღვეულია -

- შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტები – საინჟინრო ელემენტები, რომელიც შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;

- შენობა-ნაგებობების შიდა მოპირკეთება (რემონტი) – კედლების, იატაკის და ჭერის ყველა სახის სალეს-სამღებრო სამუშაოები, გამოყენებული მასალების და დეკორატიული ელემენტების ჩათვლით; ასევე მათი მოპირკეთება ნებისმიერი სახის მასალით; კარ-ფანჯარა, შემინულობა და ტიხრები;
- საკომუნიკაციო მოწყობილობები: წყალგაყვანილობის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგაყვანილობა და გაზგაყვანილობა;
- მანქანა-დანადგარები და საწარმოო ხაზები;
- ინვენტარი, ავეჯი და ტექნიკა, ინტერიერის საგნები,
- სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

ეკოლოგია, გარემოზე ზრუნვა და ნარჩენების მართვა

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგი ხორციელდება პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის (პად) ფორმების საფუძველზე. (ინსტრუქცია დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების წესის შესახებ). პად-ის ფორმები განკუთვნილია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების (ფორმა №პად-1), აირმტვერდამჭერი და ტექნოლოგიური მოწყობილობების მუშაობის რეჟიმის (ფორმა №პად-2) და ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებების შესრულების (ფორმა №პად-3) აღრიცხვისათვის.

პად-ის ფორმების საწარმოებლად საწარმოს გააჩნია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების განლაგების სქემა მასზე მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების ნომრების ჩვენებით.

პად-ის ფორმების წარმოებას ახორციელებს საწარმო საკუთარი ძალებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ყოველკვარტალურად (ყოველი კვარტლის ბოლოს) ადგენს ანგარიშგების ფორმებს ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განმხორციელებელი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ყველა მის დაქვემდებარებაში არსებული სტაციონარული ობიექტის მიხედვით.

ნარჩენები გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. ხშირად ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ნაგავს თუ თვალს მოაშორებენ, მათთან დაკავშირებული პრობლემებიც თავდება. ეს ასე არ არის. კომპანია აქტიურად არის ჩართული სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული გარემოს დაცვის დეპარტამენტთან, კერძოდ ბ-ნ სოლომონ მაისურაძესთან, ერთად ნარჩენების მართვის საქმიანობაში.

ბატონ სოლომონ მაისურაძესთან კონსულტაციების შემდეგ კომპანიამ ლიცენზირებული ორგანიზაციების ჩამონათვალში ფასთა გამოკითხვის შედეგად ჩამოაყალიბა მჭიდრო თანამშრომლობა კომპანია „ბილჯ-ვოტერთან“, რომელიც ახორციელებს კომპანიის კუთვნილი ობიექტებიდან ნავთობპროდუქტების ნარჩენების

ჩაჭირხვნას სპეციალურად გამოყოფილ ჭაბურღილში, სადაც ნაჩენების ტრანსპორტირება ხორციელდება ლიცენზირებული მანქანით, ბ-ნ გაიოზ ჭყრუნიშვილის ხელმძღვანელობით.

ხანძარსაწინააღდეგო ღონისძიებები

შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად ობიექტის თანამშრომელთაგან თითოეულ ობიექტზე დანიშნულია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი. მათ კოორდინაციას უწევს ტექნიკური სამსახურის უფროსი - ალექსანდრე რამაზაშვილი.

ობიექტის თანამშრომლები სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების შემდეგ, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ობიექტებზე ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით, რომლის წესი და პერიოდულობა განისაზღვრება ობიექტის ხელმძღვანელის მიერ ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მდგრადი მშრალი, ცხელი ამინდის და ძლიერი ქარის დროს, ასევე განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის მოქმედების პერიოდში ობიექტების ხელმძღვანელები იღებენ დამატებითი ზომები ხანძრის გაჩენის საშიშროების შესამცირებლად, მათ შორის:

ა) კრძალავენ ღია ცეცხლის დანთებას და ხანძარსაშიში სამუშაოების წარმოებას განსაზღვრულ უბნებზე;
ბ) ორგანიზებას უწევენ შესაბამისი ტექნიკის მომზადებას, დასახლებებში და მიმდებარე ტყის მასივებში პატრულირებას მოსახლეობის და მოხალისე მეხანძრეების ძალებით და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით;
გ) ორგანიზებას უწევენ მოსახლეობასთან შესაბამისი განმარტებითი სამუშაოების წარმოებას სახანძრო უსაფრთხოების ზომებისა და ხანძრის დროს მოქმედებების თაობაზე.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2019 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი: გოჩა წერეთელი

ტელ: (+995) 235 50 60